ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. .ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ ს თავმჯდომარის თორნიკე ავალიშვილის მოხსენება ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: თორნიკე ავალიშვილი

4 ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან **2020** წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 21

დაბა ხარაგაული

2019 წლის 02 დეკემბერი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ნიკოლოზ მაღრაძე, იულონ კოპაძე,გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე,ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

პეტრე შერიქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ. გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის" რედაქტორი

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ლ. ნიქაბაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „ძალა ერთობაშია"-ს თავმჯდომარემ თორნიკე ავალიშვილმა დააყენა წინადადება სხდომის ტრანსლირების სესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 2

საკრებულომ გადაწყვიტა სხდომის პირდაპირ ეთერში ჩვენება

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. .ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ ს თავმჯდომარის თორნიკე ავალიშვილის მოხსენება ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: თორნიკე ავალიშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, სადაც მაჟორიტარი საკრებულოს წევრების მიერ უკმაყოფილება გამოიხატა ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობის გამო, ეს არის უდიდესი პრობლემა, ერთის მხრივ არიან უპასუხისმგებლო მეწარმეები და მეორეს მხრივ დროულად არ ხდება ხელშეკრულებების შეწყვეტა. მილიონობით თანხა რჩება აუთვისებელი თუმცა სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბევრი სასიკეთო ღონისძიებები განხორციელდა სოციალურ სფეროში, კულტურის, სპორტის სფეროში და სხვა.

მ. ჭიპაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საკრებულომ ვერ მოახერხა, რომ სხდომებს ესწრებოდეს მერი, ვისგანაც მე მაქვს კითხვები და პრობლემებთან დაკავშირებით მინდა მოვისმინო მისგან პასუხები. 28 კაციანი უმრავლესობა ხართ და ვერ შეძელით ერთი კაცის ამოყვანა სხდომაზე.

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულომ და მერიამ უნდა იმუშაოს იმაზე, რომ სახელმწიფომ მუნიციპალიტეტიდან წაღებული თანხის უდიდესი ნაწილი მაინც დაგვიბრუნონ.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა ინფრასტრუქტურის პროექტებთან დაკავშირებით თუ გაგვაჩნია შეკითხვები იქნებ დაინტერესდეთ ადმინისტრაციულ ხარჯებზე, ტრანსპორტის ხარჯებზე, რესტორნის ხარჯებზე რაში დაიხარჯა ამდენი თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მირების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის

N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი დეტალურად იქნა განხილული საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და შემოთავაზებული ყველა ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩვენ ვეთანხმებით საბიუჯეტო ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა საბიუჯეტო ცვლილებისათვის მუხლობრივად ეყარათ კენჭი.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავებას 2019 წლის 10 ნოემბრის N 90 მომართვის თანახმად სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესასრულებლად დამატებით გამოეყოს 9000 ლარი, რომლის შევსებაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის 2019 წლის დაფინანსების ხარჯებიდან.

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0-

თავი შეიკავა 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - მარგვეთისა და უბისის ეპარქიას დაბის საკათედრო ტაძრის შიდა კეთილმოწყობის სამუშაოების შესასრულებლად დამატებით გამოეყოს 15 000 ლარი;

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის კომუნალური და სამივლინებო ხარჯებისათვის დამატებით გამოეყოს 7000 ათასი ლარი, მ. შ. 5000 ლარი ელექტროენერგიის და 2000 ათასი ლარი მივლინების ხარჯში.

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 2

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 16 770 420 ლარი შემცირდეს 259 609 ლარით და განისაზღვროს 16 510 811 ლარით,**

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 24-

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - **სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოსაყოფი ტრანსფერი შემცირდეს 281 609 ლარით, ხოლო ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მისაღები შემოსულობები 1493 710 ლარი გაიზარდოს 22 000 ლარით და განისაზღვროს 1 515 710 ლარით.**

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრ 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 21 459 820 ლარი შემცირდეს 259 609 ლარით და განისაზღვროს 21 200 211 ლარი**

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრ 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ ს თავმჯდომარის თორნიკე ავალიშვილის მოხსენება საკითხზე - ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობად მიღების შესახებ

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსის პეტრე შერიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვარლამ ჭიპაშვილმა. აღნიშნა, რომ სამწუხაროა მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოს სხდომას, რომ არ ესწრება მერი ან თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხს გაგვცემენ წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით.

რუსუდან გიორგაძემ აღნიშნა მაინტერესებს მერიაში რა ფორმულა არსებობს განსახორციელებელი პროექტების შესარჩევად და როგორ ხდება მათი შერჩევა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ცალკეული წევრთა მიერ დაისვა წინადადება პროექტების ჩამონათვალიდან ბოლო 3 პროექტი, (სოფელ ხორითში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) სოფელ საბეში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) და სარგვეშის გზის რეაბილიტაცია (ნიკოლეიშვილების და კიკნაძეების უბნები) ,რომლებიც არ ყოფილა განხილული არც ბიუროს სხდომაზე და არც კომისიის სხდომაზე, დროებით ამოღებული იქნეს და მიეთითა მერიას ეს პროექტები განსახილველად წარმოადგინონ მომავალი ბიუროს სხდომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა განკარგულების პროექტი წარმოდგენილი ცვლილებით და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 29 წევრი

მომხრ 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე